გიორგი მალაშხიას ახალი მეტაეკონომიკური ნაშრომები

რევაზ შენგელია
სტუ სრული პროფესორი, ჟურნალ
„ეკონომიკის“ მთ. რედაქტორი

საზოგადოებისთვის ცნობილია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, დარგო-ბრივ მეცნიერებათა აკადემიების წევრის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართვ-ელოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ გიორგი მალაშხიას ფუნდა-მენტური, თეორიული, საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული შრომები, რომლებითაც მან კვლევის ობიექტის ახლებური ხედვის, სიღრმისა და ორიგინალური მეთოდოლოგიის საფუძველზე საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური მეცნიერების ახალ დარგს - მეტაეკონომიკას - ეკონომიკის ფილოსოფიას. 2013 წლის 20 დეკემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მიერ მოეწყო გიორგი მალაშხიას ახალი მონოგრფიების მკითხველებისთვის წარდგენა და განხილვა. ესენია:

„მოგების მეტათეორია – ახალი ხედვა“ (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე);

„სოციალური ენერგია. სიმდიდრე. კეთილდღეობა“;

„ზომიერი ადამიანი“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე)

„უქმი ეკონომიკა. კაცობრიობის ცხოვრების უკუღმართობა .“

წიგნების წარდგენა-განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსი-ტეტისა და სხვა უმაღლეს სას-

წავლებლების პროფესორები, სტუდენტი ახალგაზრდები და დაიტერესებული გარეშე პირები.

განხილვის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ ამ წიგნებში გაფართოებული და გაღრმავებულია ავტორის ადრინდელი ნაშრომების იდეები, მოცემულია ახალი თეორიული შეხედულებები ეკონომიკური პროგრესისა და საყოველთაო კეთილდღეობის წყაროების, მათი ურთიეთკავშირისა და განსხვავების, ადამიანთა მოთხოვნილებების ხასიათისა და წინააღმდეგობრიობის, მოთხოვნილებათა და მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულების, ადამიანთა სამომხმარებლო ძალისა და მოხმარების რაციონალურობის, მომხმარებლის სუვერენიტეტის ირგვლივ. დადგენილია ადამიანთა ზომიერების ეკონომიკური შინაარსი და როლი საზოგადოების ცხოვრებაში. დასაბუთებულია უქმი დოვლათის კატეგორია და მისი, როგორც დანაკარგების მიზეზის გავლენა საყოველთაო კეთილდღეობაზე, კავშირი საკაცობრიო ფასეულობებთან - ზნეობასთან, სამართლიანობასთან და სხვა. ავტორის მიერ წამოყენებული და დასაბუთებული კონცეპტუალური თეორიული დებულებები აფართოებს მისი წინანდელი ნაშრომების ლაიტმოტივს საზოგადოების პროგრესისთვის ეკონომიკისა და ცხოვრების ჰუმანიზაციის იმპერატივის შესახებ .

პრეზენტაცია-განხილვის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს გიორგი მალაშხიას წიგნებს, აღნიშნეს მათი მნიშვნელობა ეკონომიკური თეორიის განახლება - განვითარებისთვის. აღინიშნა ასევე, რომ იგი გამოსაცმად ამზადებს ახალ წიგნებს: ,,სიმდიდრე: ვისი მონაგარია და ვინ ფლობს მას?“, ,,დამოუკიდებელი ადამიანი: საკუთრება, თავისუფლება, დემოკრატია“, ,,როგორ მდიდრდებიან ადმიანები და ხალხები?“.